ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N119/გ

ქალაქი მცხეთა 8 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ ნემსიწვერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს„ტექ“-ის დირექტორის ვაჟა მამნიაშვილის სახით, შემდგომში „მომწოდებელი”, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1საოჯახო ტექნიკის (ელექტროგამათბობლები) შესყიდვა (CPV 39700000).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით.

2.2 საქონლის საგარანტიო ვადაა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 591 (ხუთას ოთხმოცდათერთმეტი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 სამუშაო დღეში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:

4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ეკა ჯიშკარიანი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
ქ.მ0ცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	შპს,, ტექ"
მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ.136	მის: ქ.თბილისი, ა. წერეთლის 116
სახელმწიფო ხაზინა	,,თი ბი სი" ბანკი
ხაზინის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ა/ა GE20TB7725 4360 2010 0004
ს/კ 236098833	ს/კ 404954484
ელ-ფოსტა: mtskhetacityhall@gmail.com	ტელ: +995 32 2550 800
ტელ: 251 21 70	
ა. ნემსიწვერიძე	დირექტორი
	ვ. მამნიაშვილი